წამების აკრძალვის დეფინიციის სახესხვაობები

ნანო ვაჭარაძე, სდასუ-ს სამართლის სკოლის დოქტორანტი,
სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური

აბსტრაქტი

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნული პრინციპის ერთ-ერთ გარანტს კი წამების აკრძალვა წარმოადგენს. შემთხვევითი არ არის, რომ წამების აკრძალვას მინიჭებული აქვს jus cogens სტატუსი, რაც ნორმის იმპერატიულობასა და შესრულების სავალდებულო ხასიათზე მიუთითებს.

წინამდებარე სტატიაში განხილულია წამების აკრძალვის დეფინიციის სახესხვაობები, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით.

წამების აკრძალვის საერთაშორისო მიმოხილვა მიზნად ისახავს წამების აკრძალვასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების განხილვას, რათა ზღვარი გაივლოს წამებასა და მომიჯნავე შემადგენლობებს შორის. ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების სფეროს ფარგლები და სისასტიკის მინიმალური ზღვრის მნიშვნელობა.

წინამდებარე სტატიაში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, ასევე ჩამოყალიბებულია ის კრიტერიუმები, რომელთა არსებობის დროსაც, ქმედება შესაძლოა დაკვალიფიცირდეს როგორც წამება.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეროვნულ კანონმდებლობაში წამების დეფინიციასა მის მიმართებას, როგორც საერთაშორისო აქტებით დადგენილ წამების დეფინიციასთან, ასევე ურთიერთმომიჯნავე მუხლებთან.

ვიმედოვნებ, აღნიშნული სამეცნიერო სტატია გამოიწვევს როგორც პრაქტიკოსი იურისტების, ისე სისხლის სამართლისა და საერთაშორისო სამართლის მეცნიერების დაინტერესებას.

საკვანძო სიტყვები: წამების აკრძალვა; კვალიფიკაცია; ქმედების დეფინიცია; სსსკ-ის 144[1]-ე მუხლი.

On the scientific article: Differences in the definition of the prohibition of torture

Nano Vacharadze, PhD student

School of Law of SDASU,

Legal assistance service of the State Administrative Council

Abstract

Protection of human life and health is one of the main foundations of a democratic society. Prohibition of torture is one of the guarantees of the aforementioned principle. It is no coincidence that torture has been given the status of jus cogens, which indicates the imperative nature of the norm and the mandatory nature of its execution.

This article discusses the differences in the definition of the prohibition of torture, both according to international and national legislation.

The International Review of the Prohibition of Torture aims to review international standards on the prohibition of torture in order to draw a line between torture and contiguous structures. Also, the scope of Article 3 of the European Convention on Human Rights and the meaning of the minimum threshold of cruelty.

In this article, based on the analysis of European human rights jurisprudence, the criteria are also established, in the presence of which an action may be qualified as torture.

Special attention is paid to the definition of torture in the national legislation, its relation to the definition of torture established by international acts, as well as to related articles.

I hope that this scientific article will arouse the interest of both practicing lawyers and scholars of criminal law and international law.

Keywords: prohibition of torture; qualification; definition of action; Article 144[1] of the Civil Code.

დემოკრატიულ სახელმწიფოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წამების აკრძალვას, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლების დაცვის მყარ გარანტს. „წამების აკრძალვა“, აღნიშნული ტერმინი გამოყენებულია, როგორც ეროვნულ კანონმდებლობაში, ასევე ადამიანის უფლებათა არაერთ საერთაშორისო და ჰუმანიტარულ ხელშეკრულებაში, კერძოდ:

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მე-5 მუხლი);
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (მე-3 მუხლი);
- სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (მე-7 მუხლი);
- წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის საწინააღმდეგო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1994 წლის კონვენცია;
- და სხვა.

ეროვნულ კანონმდებლობაში აღნიშნული დებულება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლით.

მიუხედავად აღნიშნული ტერმინის საყოველთაოობისა, საკმაოდ საკამათოა ქმედების ზუსტი დეფინიცია, რაც პრობლემას წარმოშობს წამების საქმეთა სათანადო კვალიფიკაციის მინიჭების პროცესში. პრობლემის არსებობაზე მიუთითებს ეროვნული სასამართლოების წინაშე სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული მუხლებით განხილული საქმეების სიმწირეც.

მოცემული სტატიის მიზანია წამების აკრძალვის დეფინიციის მიმოხილვა სხვადასხვა საერთაშორისო თუ ეროვნულ აქტებში, შესაბამისობის დადგენა და ურთირთგამიჯვნის ხერხების შესწავლა.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლება, არ დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას, აბსოლიტური ხასიათისაა [1] და მისი შეზღუდვა დაუშვებელია რაიმე საზოგადოებრივი აუცილებლობით ან

სახელმწიფო ინტერესების დასაცავად. გადაწყვეტილებაში სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ, ევროპულმა სასამართლომ განმარტა:

„თვით ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი, როგორიცაა ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, კონვენცია აბსოლიტურად კრძალავს წამებას ან არაადამიანურ თუ დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს. განსხვავებით კონვენციისა და #1 და #4 დამატებითი ოქმენის არსებითი დებულებებისგან, მე-3 მუხლი არ ითვალისწინებს რაიმე გამონაკლისს ან გადახვევის უფლებას, რაც დაშვებულია მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით, თუნდაც საზოგადოებრივი საგანგებო მდგომარეობის დროს, რაც ემუქრება ერის სიცოცხლეს“ [2].

ამასთანავე, წამებად არ ჩაითვლება ქმედება, როდესაც ის მიმართულია თავად ამ პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაცავად.

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნული პრინციპის ერთ-ერთი გარანტს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც: „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“. აღნიშნულზე მიუთითებს 1998 წლის საერთაშორისო სისხლის სამართლოს რომის სტატუტიც, რომლის მიხედვითაც „წამება, რომელიც არის მოქალაქეთა წინააღმდეგ ჩადენილი და გავრცელებული ან სისტემატიურ ქმედებათა ნაწილი, წარმოადგენს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს“ [3].

წამების აკრძალვას მინიჭებული აქვს განსაკუთრებული სტატუსი - jus cogens, რაც იმას ნიშნავს, რომ იმპერატიული ნორმაა და სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსთვის შესასრულებლად, მიუხედავად რატიფიცირებული აქვს თუ არა მოცემული ხელშეკრულება [4]. ეს გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აღნიშნული ტერმინისა და მის ქვეშ გაერთიანებული ქმედების აკრძალვის მნიშვნელობას.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული დაცვა მიმართულია ადამიანის ღირსებასა და ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე, თუმცა წამების შემთხვევები წარმოადგენს მე-3 მუხლის დარღვევის ყველაზე სასტიკ და საშინელ ფორმას.

ნებისმიერი უხეში მოპყრობა არ არის წამება. იმისათვის, რომ ქმედება წამებად დაკვალიფიცირდეს, აუცილებელია არსებობდეს სისასტიკის გარკვეული ხარისხი. მიყენებული ტანჯვის სისასტიკე ან ინტენსიურობა შესაძლოა შეფასდეს შემდეგ ფაქტორებზე მითითებით [5]:

- მოპყრობის ხანგრძლივობა;
- ფიზიკური და სულიერი შედეგები;
- მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთველობის მდგომარეობა;
- აღსრულების ხასიათი და მეთოდი.

მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი საქმე: The Greek Case და ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. რომლებიც პრეცენდენტული მნიშვნელობისაა. პირველ საქმეში სასამართლომ მიუთითა, რომ:

„წამება უნდა იყოს არაადამიანური და დამამცირებელი, ხოლო არაადამიანური მოპყრობა - დამამცირებელი. წამებას აქვს მიზანი, როგორიცაა ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, დასჯა და ზოგადად, ის წარმოადგენს არაადამიანური მოპყრობის გამძაფრებულ ფორმას“ [6].

აღნიშნული დეფინიცია კიდევ არაერთ საქმეში გამეორდა და „მიზნობრივი ფაქტორი“ წამების მაკვალიფიცირებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად იქცა. საქმეში - ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [7], ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ქმედების წამებად კვალიფიცირება უნდა მომხდარიყო მიყენებული „ტანჯვის ინტენსივობისა და სხვადასხვაობის საფძველზე“ თუმცა პირთა დაკითხვისას გამოყენებული 5 მეთოდი, მათ შორის :

- კედელთან დგომა;

- თავსაფარი - თავზე მუქი ტომრის ჩამოცმა;
- ხმაურისადმი დაქვემდებარება;
- უძილობა;
- საკვებისა და წყლის შეზღუდვა.

ევროპულმა სასამართლომ შეაფასა, როგორც არაადამიანური მოპყრობა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მეთოდები გამოყენებული იყო აღიარებისა მოპოვებისა და ინფორმაციის მიღების მიზნით, ევროპული სასამართლოს აზრით, მათ არ გამოუწვევიათ ისეთი ინტენსივობისა და სისასტიკის ტანჯვა, რომ ქმედება შეფასებულიყო, როგორც წამება [8].

სწორედ ამიტომ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, მიზნობრიობის გარდა ქმედების წამებად შესაფასებლად აუცილებელია, მოპყრობამ გამოიწვიოს „ძლიერი და სასტიკი ტანჯვა“. აღნიშნულის შესაფასებლად კი სასამართლომ მიუთითა აწ უკვე აღნიშნულ გარემოებებზე: ხანგრძლივობა, ფიზიკური და სულიერი შედეგები, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა, აღსრულების ხასიათი და მეთოდები.

თუმცა, ევროპულმა სასამართლოს დიდმა პალატამ, საქმეში - სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ, აღნიშნა, რომ:

„ქმედებები, რომლებიც წარსულში დაკვალიფიცირდა, როგორც არაადამიანური მოპყრობა, შესაძლოა მომავალში დაკვალიფიცირდეს, როგორც წამება“ [9].

ვინაიდან ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობა უმაღლესი ღირებულებაა, იგი დაცულია არა მარტო კონსტიტუციით, არამედ საქართველოში არსებული სხვა ნორმატიული აქტებითაც [10]. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იკრძალება:

„პირის, მისი ახლო ნათესავისა ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა, ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან

მორალურ ტანჯვას და რომელის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება, ანდა პირის დასჯა მის ან sმესამე პირის მიერ ჩადენილი, ან სავარაუდოდ ჩადენილი, ქმედებისათვის" [11].

მნიშვნელოვანია წამების ქართულ საკანონმდებლო სივრცეში დამკვიდრებული განსაზღვრება შევადაროთ „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1994 წლის კონვენციის დეფინიციას.

წამების დეფინიცია ყველაზე სრულყოფილადაა წარმოდგენილი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საწინააღმდეგო კონვენციაში [12], რომლის თანახმად:

„ტერმინი წამება ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც ამა თუ იმ პირს განზრახ მიეყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური თუ სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორიცაა მისგან ან მესამე პირისაგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისთვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია, ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ან ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, რომესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით. იგი არ მოიცავს ტკივილს ან ტანჯვას , რომელიც მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად წარმოიქმნება, არსებითად განუყოფელია მათგან, ან მათი თანმდევია" [13].

კონვენციის მიზნებისათვის:

- წამება ყოველთვის წარმოადგენს წინასწარ განზრახულ ქმედებას;
- წამების კონვენციური დეფინიციით მასში მოიაზრება პირისთვის ძლიერი ფიზიკური და ზნეობრივი ტკივილის ან ტანჯვის მიყენება;

- კონვენციის თანახმად, მიზნობრივად წამება ყოველთვის მიმართულია მსხვერპლისაგან ან მესამე პირისაგან ცნობების მიღების ან აღიარებისაკენ, მსხვერპლის დასჯისაკენ იმ ქმედებისთვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც იგი ბრალდებულია.
- კონვენცია ყურადღებას ამახვილებს მსხვერპლის წამების დისკრიმინაციის საფუძველზე და, რაც მთავარია, კონვენციის მიზნებისთვის წამების შემადგენლობის განმახორციელებელი სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სპეციალური (სახელმწიფო თანამდებობის ან სხვა ოფიციალური პირი). თუმცა ჩვეულებრივი სუბიექტი წამებაში შესაძლებელია მოგვევლინოს, როგორც თანამონაწილე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ასახული აღნიშნული დებულება თითქმის იმეორებს გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის წინააღდეგ 1994 წლის კონვენციის პირველ მუხლს.

ძირითადი სხვაობა წამების ქართულ რეგულირებასა და კონვენციის მოცემულ განსაზღვრებას შორის არის დანაშაულის ქმედების ამსრულებელში. სისხლის სამართლის 144[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ამსრულებელი ნებისმიერი შერაცხადი, 14 წელს მიღწეული პირია. ხოლო კონვენცია პირდაპირ მიუთითებს იმ სუბიექტზე, რომელსაც ეკრძალება წამება.

ამგვარად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, გაეროს 1975 წლის კონვენციაში წამების აკრძალვა ხელშემკვრელი სახელწიფოებით შემოიფარგლება. ეს მიდგომა ეფუძნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში ფართოდ აღიარებულ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრინციპს, რაც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოა ერთადერთი სუბიექტი, რომელსაც ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება.მხოლოდ სახელმწიფო შეიძლება იყოს ადამიანის უფლებათა დამრღვევი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლის პირველ ნაწილში საქმე გვაქვს შემთხვევასთან, როდესაც წამებას კერძო პირი სჩადის. ადამიანის უფლებათა

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში, საქმეზე არსენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებებით, შესაძლებელი უნდა იყოს წამებაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და დასჯა [14].

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებს, მათი დისპოზიციის სუბიექტია საჯარო მოხელე ან მასთან გათანაბრებული ნებისმიერი პირი, ანდა პირი რომელიც სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით არღვევს წამების აბსოლიტური აკრძალვის პრინციპს.

144[1] მუხლის მეორე ნაწილი შესაძლოა კოლიზიაში მოვიდეს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლთან. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლი, რომელის პირველი ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ადამიანის იძულებისათვის განმარტების ან ჩვენების მისაცემად, ანდა ექსპერტისაგან დასკვნის მისაღებად. აღნისნული მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ამ ქმედების ჩადენისთვის, სიცოცხლისა და ჯანმრთველობისათვის საშიში ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

დასკვნა: მიუხედავად წამების აკრძალვის საერთაშორისო ბუნებისა, მისი მოხსენიება მრავალ საერთაშორისო დოკუმენტში მაინც ღიად ტოვებს საკითხს, თუ რას ნიშნავს „წამება“, როგორც დეფინიცია. ყველაზე ზუსტი განმარტებაც კი ვერ პასუხობს კითხვას, თუ რა სახის მინიმუმს უნდა აკმაყოფილებდეს ქმდება იმისათვის, რომ ის წამებად დაკვალიფიცირდეს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მათ შორის დიდი პალატა, პრეცედენტული გადაწყვეტილებებით ცდილობს არსებული პრობლემური საკითხის დარეგულირებას, თუმცა დროთა განმავლობაში, მათივე განმარტების მიხედვით, შესაძლოა გარკვეული ქმედებები უფრო მაღალი სტანდარტით შეფასდეს, კერძოდ დაკვალიფიცირდეს როგორც წამება. პრობლემურ საკითხს წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობაში, კერძოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული წამების დისპოზიციაც, რომელიც უფრო ფართოდ

განმარტავს წამების ჩამდენი სუბიექტის ცნებას, ასევე პრობლემურ საკითხად რჩება წამების შემადგენლობის გასხვავება ურთიერთმომიჯნავე მუხლებთან.

შესაბამისად, საკითხის დასარეგულირებლად საჭიროა ეროვნულ დონეზე საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, კერძოდ სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლის დეფინიციის დახვეწა, ასევე რიგ შემთხვევებში გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ნაწილში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამჟამად დაგენილი პრაქტიკის მოშველიება.

ლიტერატურა

1. გაეროს კომიტეტი წამების წინააღმდეგ, ზოგადი კომენტარი #2;
2. Tyer v. United Kingdom, 25 აპრილი 1978, სერია ა #26;
3. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „f" ქვეპუნქტი;
4. ფოული კ.,წამების დასამარცხებლად, დიდი ბრიტანეთი, 2003:32;
5. Selcuk and Asker v. Turkey, 24 აპრილი 1998, §76, ანგარიში 1998-II;
6. დანია, ნორვეგია, შვედეთი, ნიდერლანდები საბერძნეთის წინააღმდეგ (The Greek Case) #3321/67, 33322/67, 3323/67, #3344/67, გვ.186,1969;
7. ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. The United Kingdom), 18.01 1978, #5310/71, 167; სერია ა 25;
8. Long D, Guide to Jurisprudence on Torture and Ill-treatment, Geneva, 2002:14;
9. Selmouni v. France, 28 ივლისი 1999, #25803/94, $101, ECHR 1999-V;
10. საქართველოს კონსტიტუცია მიღებული 1995 წელს, 2023 წლის მდგომარეობით, მ.9;
11. 1 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წელი, მ. 144[1];
12. ბატონიშვილი დ., სამართლის ინსტიტუტი, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, თბ., 2013: 66;

13. Convention against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, 26 June 1987, Art 1;
14. Philip Leach Senior Lecture in Law, London Metropolitan University Director, European Human Rights Advocacy Centre, Taking a Case to the European Court of Human Rights Second Edition OXFORD UNIVERSITY PRESS:202.